

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) 1. მოსწავლემ დაწერა: *ამ შემთხვევამ ძწერლის მომავალზე დიდი გავლენა მოახდინა.*

აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) 2. მოსწავლემ დაწერა: *სოფელში აქა-იქ მოჩანდა მკრთალი შუქი, რომელიც ღამის ბინდ-ბუნდსა და ნისლში იკარგებოდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 3. მოსწავლემ დაწერა: *წიგნების დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათთაგანი ძალიან დაზიანებული იყო.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 4. მოსწავლემ დაწერა: *კონკურსის მონაწილეებს პრობლემის გადაჭრის სრულიად განსხვავებული გზა შეთავაზეს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 5. მოსწავლემ დაწერა: *დახმარების იმედი რომ ჰქონიყო, მცირერიცხოვანი რაზმითაც შეებრძოლებოდა მტერს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 6. მოსწავლემ დაწერა: *საფეხბურთო მატჩი, რომელიც სკოლის სტადიონზე გაიმართა, მასწავლებლებიც
ესწრებოდნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 7. მოსწავლემ დაწერა: *დღეს ღამე მოსდევს, დარს ავდარი.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) **8.** თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს თემის ნიშნის რაობა.

(2) **I.** მოკლედ ჩამოაყალიბეთ საკითხები თემის ნიშნის ადგილისა და დანიშნულების შესახებ.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ ორი საკითხი, რომლებიც თემის ნიშანთა მართლწერას უკავშირდება.

(7) **9.** წაიკითხეთ ნაწყვეტი გურამ ასათიანის წიგნიდან „სათავეებთან“:

ქართველებს სხვებთან შედარებით საერთოდ გვიყვარს ჭირის გამხელა, თანაგრძნობის აღძვრა, ზოგჯერ გაზვიადებაც საკუთარი ტკივილისა. ჩვენს დიდ პოეტებსაც არ ეთაკილებოდათ საკუთარ სატკივარზე გოდება, მათ შორის გვირგვინოსნებსაც. ქართული სული თანაგრძნობის მაძიებელი სულია. იმ თანაგრძნობისა, რომლის უფლებაც მას ფსიქოლოგიურად მოპოვებული აქვს, ვინაიდან თავის მხრივ ყოველთვის მზად არის (ან ყოველ შემთხვევაში ვალდებულად თვლის თავის თავს) მოწყალების მაქსიმუმი გაიღოს სხვათა მიმართ. თანაღმობა ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, შეცოდება, სიბრაღული ქართველი კაცის თვალში ადამიანისათვის სათაკილო გრძნობა არ არის, არც მაშინ, როცა სხვა გეცოდება და არც მაშინ, როცა შენ გიბრალებენ.

მე, რასაკვირველია, ვაზვიადებ; ქართველთა შორისაც არიან სხვადასხვა „გუნების“ პიროვნებები; მაგრამ მე აქ (როგორც ყველა სხვა შემთხვევაში) მთავარს ვეძებ, ყველაზე დამახასიათებელს ვგულისხმობ. და, რაც მთავარია, სხვათა ხასიათს ვადარებ, ვინაიდან ყველა განსხვავებული ეროვნული თვისება (ისევე, როგორც პიროვნულ-ადამიანური) ბოლოს და ბოლოს შედარებითია. აბსოლუტური გაგებით ადამიანები მხოლოდ ჰგვანან ერთმანეთს.

- (2) I. განსაზღვრეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.
- (2) II. ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი გურამ ასათიანის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.
- (2) III. იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) 10. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

- I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება:
I კრიტერიუმით შეფასების კომენტარებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტარებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება - ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს, პუნქტუაციურსა თუ სტილისტურს.
- II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით;	2
		ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;	1
		გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არაა დამაჯერებელი, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია;	2
		ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები;	1
		გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა;	2
		ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა;	1
		გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

არსებობს მოსაზრება, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს, რადგან დასაქმების პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

ვფიქრობ, ყველას აქვს უფლება, იყოს განათლებული. ჩვენ თავად განვსაზღვრავთ, გვსურს თუ არა უნივერსიტეტში ჩაბარება და, ჩემის აზრით, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, შეგვზღუდოს. თუმცა უნდა ითქვას რომ სამართალი და სინამდვილე ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა არ არის იმდენად „ძლიერი“, რომ თვითეული კვალიფიციური კადრი სამუშაოთი უზრუნველჰყოს. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ხალხის ნაწილსა და მთავრობასაც კი უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის შემცირება სურს. ეს პრობლემა განსაკუთრებით ბოლო წლების ეკონომიკური კრიზისის გამო არის აქტუალური. ვფიქრობ, რაც უნდა იყოს, ხალხი არ შეიძლება გახდეს მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური თამაშების მსხვერპლი. უმაღლესი სასწავლებლები არ უნდა დაიხუროს, იმისთვის რომ მათი მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს ადამიანს, სასურველი საქმე შეისწავლოს. მიმაჩნია, რომ სამუშაო ადგილების სიმცირე მხოლოდ მთავრობის მოსაგვარებელი პრობლემაა. ხალხი სწორედ ამიტომ ირჩევს მას. ეს საკითხი არ უნდა წყდებოდეს ადამიანთა განათლების ხარჯზე. ნათქვამია, რომ ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი უნივერსიტეტია. ჩემის აზრით, განათლებული ადამიანები კეთილსინდისიერი და კანონმორჩილი მოქალაქეები არიან. ქვეყანას სწორედ ისინი აძლიერებენ.

აქედან გამომდინარე არ ვეთანხმები მოცემულ მოსაზრებას, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ მთავრობამ ეფექტური ეკონომიკური გეგმა შეიმუშავოს. მას შეუძლია მოქალაქეებისაგან მოისმინოს, როგორ მოაგვაროს დასაქმების პრობლემა და აირჩიოს საუკეთესო ვარიანტი ან აიღოს სესხი, მაგალითად, მსოფლიო ბანკიდან და სამუშაო ადგილები შექმნას.

გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

II. ქართული ლიტერატურა

(1) 11. რა განასხვავებს ჰაგიოგრაფიული მწერლობის ცხოვრებათა ჟანრის თხზულებებს მარტვილობის ჟანრის ტექსტებისაგან?

- ა) ცხოვრებათა ჟანრის ნაწარმოებების განმასხვავებელი ნიშანია პოეტური სახეებით ღვთის დიდება და წმინდანთა ქება.
- ბ) ცხოვრებათა ჟანრის ნაწარმოებების განმასხვავებელი ნიშანია ურწმუნო ადამიანების ამქვეყნიური ყოფის აღწერა და მისი უარყოფა.
- გ) ცხოვრებათა ჟანრის ნაწარმოებების გმირებს სისხლი არ დაუღვრიათ, მაგრამ თავი მიუძღვნეს ქრისტიანულ იდეალებს.
- დ) ცხოვრებათა ჟანრის ნაწარმოებების გმირებს ქრისტიანული იდეალების ერთგულებისათვის წილად ხვდათ მოწამებრივი აღსასრული.

(1) 12. „შუშანიკის წამების“ ტექსტზე მსჯელობის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რატომ აღწერს ავტორი, თუ როგორ უმძიმდა ტანჯვის ატანა წმინდა მოწამეს? ჰაგიოგრაფიული ტექსტი ხომ იმაში უნდა არწმუნებდეს მკითხველს, რომ მთავარი პერსონაჟი სიხარულით ეწამება ქრისტესთვის?*

რომელი მოსაზრება გამოდგება ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?

- ა) ჰაგიოგრაფები ბაძავენ სახარების ავტორებს; ახალ აღთქმაში კი მოთხრობილია: „მოუხდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა. ხოლო იესო ჰრქუა მათ: არა ჰხედავთა ამას ყოველსა? ამენ გეტყუი თქუნ: არა დაშთეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს“.
- ბ) ჰაგიოგრაფები ბაძავენ სახარების ავტორებს; ახალ აღთქმაში კი მოთხრობილია, როგორ უმძიმდა მაცხოვარს პროკურატორ პილატე პონტოელისა და მეფე ჰეროდეს დაცინვისა და შეურაცხყოფის ატანა.
- გ) ჰაგიოგრაფები ბაძავენ სახარების ავტორებს; ახალ აღთქმაში კი მოთხრობილია, როგორ უმძიმდა მაცხოვარს, რაც ნათლად ჩანს მისსავე სიტყვებში: „რაისა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას?.. რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ“.
- დ) ჰაგიოგრაფები ბაძავენ სახარების ავტორებს; ახალ აღთქმაში კი მოთხრობილია, როგორ უმძიმდა მაცხოვარს, რაც ნათლად ჩანს მისსავე სიტყვებში: „უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე“ ან „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?“

(1) 13. რატომ მიიჩნევს იოვანე საბანისძე, რომ ქართლს ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად განსაკუთრებული მისია ჰქონდა დაკისრებული?

ა) ქართლი მისაბადი ქვეყანა იყო ქრისტიანული სამყაროსათვის და აქ რწმენის შესუსტება გავლენას მოახდენდა მთელი ქრისტიანული მრევლის სარწმუნოებრივ პოზიციაზე.

ბ) ქართლი ქრისტიანული სამყაროს განაპირას მდებარეობდა და გარშემო მაჰმადიანური ქვეყნები ესაზღვრებოდა, ამიტომ აქ ქრისტიანობის დაცვას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

გ) ქართლი ქრისტიანული სამყაროს ცენტრში მდებარეობდა და რჯულის მიმართ დამოკიდებულება გადამწყვეტ გავლენას ახდენდა გარშემომყოფ ქრისტიანულ ქვეყნებზე.

დ) ქართლის განსაკუთრებული მისია განსაზღვრული იყო ეკლესიაში წასაკითხი კანონიკური თუ არაკანონიკური ქრისტიანული ტექსტების მიხედვით.

(1) 14. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რატომ ჩართო ავტორმა ჰაგიოგრაფიულ ტექსტში აშოტ კურაპალატის სატრფიალო ეპიზოდი?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ამ ეპიზოდით გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ სასულიერო პირები თავიანთ გავლენას ზოგჯერ უსამართლოდ იყენებენ.
- ბ) ამ ეპიზოდით გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ ხელმწიფეთა ცხოვრების წესი სახელმწიფოს ძლიერებაზე დამლუპველ გავლენას ახდენს.
- გ) ამ ეპიზოდით გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ ხორციელად ძლიერი ხელმწიფეც კი ჩვეულებრივი ადამიანია.
- დ) ამ ეპიზოდით გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ ძალაუფლებით აღჭურვილი ხელმწიფენიც კი სულით ძლიერ ადამიანებს ემორჩილებიან.

(1) 15. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *უნდა ჩაითვალოს თუ არა ავტორის ნაკლად ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ორიგინალური არ არის?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) არ უნდა ჩაითვალოს ნაკლად, რადგან უცხო ფაბულის სესხება საკმაოდ გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლურ ლიტერატურაში, ისევე დასავლურშიც. მზა ფაბულას იმიტომ იყენებდნენ, რომ ავტორის მიერ ორიგინალური სიუჟეტის შექმნა მკითხველისათვის მისაღები არ იყო.
- ბ) არ უნდა ჩაითვალოს ნაკლად, რადგან უცხო ფაბულის სესხება საკმაოდ გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლურ ლიტერატურაში, ისევე დასავლურშიც. მზა ფაბულის მიხედვით ბევრი ნაწარმოები დაწერილა, მაგრამ მათ შორის გენიალური ტექსტები მხოლოდ გენიალური ავტორების მიერ არის შექმნილი.
- გ) უცხო ფაბულის სესხება პლაგიატორობად მიიჩნეოდა როგორც აღმოსავლურ ლიტერატურაში, ისევე დასავლურშიც. მზა ფაბულის მიხედვით ნაწარმოებების შექმნა გამოსავალი იყო იმ ავტორებისათვის, რომელთაც ორიგინალური სიუჟეტის შექმნა არ შეეძლოთ.
- დ) უცხო ფაბულის სესხება პლაგიატორობად მიიჩნეოდა როგორც აღმოსავლურ ლიტერატურაში, ისევე დასავლურშიც, თუმცა მზა ფაბულის მიხედვით ნაწარმოებებს ჰქმნიდნენ ის ავტორები, რომლებსაც პასუხისმგებლობის თავიდან აცილება სურდათ.

(1) 16. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რაზე შეიძლება მიაწინებდეს რუსთველი, როცა არაბ ავთანდილზე წერს:*

„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი“?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ავთანდილი განათლებული ჭაბუკია, მეზობელი ქვეყნის ენისა და კულტურის კარგი მცოდნე.
- ბ) ავთანდილი ქართული მენტალიტეტის ადამიანი და ქრისტიანული სულისკვეთებით გამსჭვალული რაინდია.
- გ) შუა საუკუნეებში ჟღერადობითა და მუსიკალობით ქართული ენა არაბულზე აღმატებულად მიიჩნეოდა.
- დ) შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნები ქართული სახელმწიფოს უძლეველობასა და გავლენას აღიარებდნენ.

(1) 17. სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუისა“ ტექსტის განხილვის დროს კლასში ამგვარად დაისვა საკითხი: *რამდენად საინტერესო და აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისათვის ავტორის პოზიცია - როგორ უნდა აღიზარდოს უფლისწული?*

რომელი მოსაზრება გამოდგება ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?

- ა) ავტორი არა მხოლოდ უფლისწულის, არამედ ზოგადად ადამიანის აღზრდის მეთოდებს ეხება და პიროვნების ზნეობრივ სრულყოფას ისახავს მიზნად.
- ბ) ეს ნაწარმოები არა მხოლოდ უფლისწულის, არამედ სამეფო კარის სხვა მოხელეთა აღზრდის საკითხებსაც ეხება, რაც დღეს ნაკლებად აქტუალურია.
- გ) ეს ნაწარმოები, რომელიც გარკვეული ეპოქის სულისკვეთების ანარეკლია, საინტერესოა როგორც მხოლოდ ისტორიული ღირებულების მქონე ტექსტი.
- დ) ეს ნაწარმოები შესაძლოა აქტუალური და საინტერესო სამომავლოდ გახდეს, თუკი ქვეყანაში სამეფო ინსტიტუტის აღდგენა გახდება შესაძლებელი.

(1) 18. როგორ მოხვდა დავით გურამიშვილის „დავითიანი“ საქართველოში?

- ა) დავით გურამიშვილმა თავისი „დავითიანი“ ამ საქმისათვის სპეციალურად შერჩეულ ადამიანს გამოატანა საქართველოში.
- ბ) დავით გურამიშვილმა თავისი „დავითიანი“ ერეკლე II-ის ძეს, მირიან ბატონიშვილს, გამოატანა საქართველოში.
- გ) „დავითიანი“ სრულიად შემთხვევით მოხვდა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომელმაც იგი საქართველოში გამოგზავნა.
- დ) სანდო წყარო, როგორც მოხვდა „დავითიანი“ საქართველოში, არ არსებობს და ეს საკითხი დღემდე საკამათოა.

(1) 19. ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩის“ შესწავლის დროს მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: *იქმნება მთაბეჭდილება, რომ ამ ლექსში პეიზაჟზე ყურადღება ზედმეტად არის გამახვილებული და იგი ჩრდილავს მთავარ სათქმელს.*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) პეიზაჟი აუცილებელი ატრიბუტია ამ მიმდინარეობის ყველა ტექსტისათვის და ავტორები ვალდებულნი არიან „ჟანრის კანონს“ დაემორჩილონ.
- ბ) პეიზაჟი უფრო მნიშვნელოვანია ტექსტის განწყობის გადმოსაცემად, ვიდრე მთავარი სათქმელი, რომელიც, შესაძლოა, დაიჩრდილოს კიდეც.
- გ) პეიზაჟს ამ ლექსში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ნაწარმოების ძირითადი იდეის გადმოსაცემად - ამ ხერხით ბუნების მარადიულობისა და ადამიანთა ცხოვრების წარმავლობის იდეაა გამოხატული.
- დ) პეიზაჟს ამ ლექსში მხოლოდ ფონის შექმნის ფუნქცია აკისრია. მართალია, ის ნაწარმოების ძირითადი იდეის გადმოცემას ხელს არ უწყობს, მაგრამ არც მთავარ სათქმელს აფერმკრთალებს.

(1) 20. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რატომ იყო 1832 წლის შეთქმულთა შორის განსაკუთრებით პოპულარული ლექსი „იარაღის“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ამ ლექსში შეთქმულებმა თავისუფალი საქართველოს აღდგენისა და თავიანთი ოცნებების ასრულების იდეა დაინახეს.
- ბ) ეს ლექსი ავტორმა შეთქმულთა გასამხნეველად დაწერა და მათ პეტერბურგიდან საგანგებოდ გამოუგზავნა.
- გ) იარაღი შანშიაშვილი, რომელსაც პოეტმა ეს ლექსი მიუძღვნა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული ისტორიული გმირი იყო.
- დ) იარაღი შანშიაშვილი, რომელსაც პოეტმა ეს ლექსი მიუძღვნა, შეთქმულთა თავკაცი და წინააღმდეგობის სულისჩამდგმელი გახლდათ.

(1) 21. ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა...“ ნიკოლოზ ბარათაშვილი მსჯელობს სილამაზისა და მშვენიერების ურთიერთმიმართებაზე.

რატომ ანიჭებს ავტორი უპირატესობას სულიერ მშვენიერებას ფიზიკურ სილამაზესთან შედარებით?

- ა) სულიერი მშვენიერება ადამიანს სასიცოცხლო ენერგიას ანიჭებს.
- ბ) სულიერი მშვენიერება ადამიანს ღმერთთან აახლოებს.
- გ) სულიერი მშვენიერება სატრფოსადმი ერთგულების „ნიჭს“ განამტკიცებს.
- დ) სულიერი მშვენიერება საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა.

(1) 22. ილია ჭავჭავაძის პოეზიაზე მსჯელობის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რატომ არის ილია ასეთი დაუნდობელი თანამემამულეების მიმართ ლექსში „ბედნიერი ერი“?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ თანამემამულეები მას ქვეყნის ინტერესების ღალატს აბრალებდნენ.
- ბ) ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ თანამემამულეები ქართულ ხასიათს უსაფუძვლოდ აიდევლებდნენ.
- გ) ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ნაკლის მხილება მისი გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა.
- დ) ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ნაკლის მხილება საზოგადოებას წარსულის შეფასებაში ეხმარება.

(1) 23. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *აკაკი წერეთელი „გამზრდელის“ პირველ თავში ამბობს, რომ ადგილი, სადაც ბათუს ფაცხაა, „ეკრძალება ჭექა-ელვას“, რასაც მეორე თავში ბუნების მრისხანებისა და ჭექა-ქუხილის აღწერა მოსდევს. რით უნდა აიხსნას ამგვარი შეუსაბამობა?*

რომელი მოსაზრება გამოდგება მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) აკაკიმ მიზანმიმართულად დაუშვა ამგვარი თვალში საცემი უზუსტობა, რათა ტექსტში აღწერილ ამბავს მეტი დინამიზმი შეეძინა.
- ბ) აკაკი წერეთელს ბუნებრივ მოვლენათა მრავალფეროვნების ჩვენება სურდა და ამიტომ არ მოერიდა ამგვარ შეუსაბამობას.
- გ) ამგვარი ფაქტობრივი შეცდომები იშვიათი არ არის ლიტერატურული ტექსტებისთვის და, მათ შორის, საკუთრივ აკაკი წერეთლის პოეზიისთვისაც.
- დ) ამგვარ შეუსაბამობას განსაზღვრავს მხატვრული ლოგიკა - ბუნების მრისხანება და ჭექა-ქუხილი მომასწავებელია უბედურებისა, რომელიც საფარ-ბეგის სტუმრობას უნდა მოჰყვეს.

(1) 24. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რას ნიშნავს ხევისბერი გოჩას სიტყვები: „ჩვენც ვიცნობთ ქართველთა მეფეს“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) მოხევეები საქართველოს მეფეზე წინ თავიანთი ხევისბრის უფლებამოსილებას აყენებენ.
- ბ) მოხევეები საქართველოს მეფეს იცნობენ, თუმცა მის ქვეშევრდომობას არ აღიარებენ.
- გ) მოხევეები საქართველოს მეფეს ნუგზარ ერისთავის მეშვეობით უკავშირდებიან.
- დ) მოხევეები საქართველოს მეფის უფლებამოსილებას აღიარებენ და ემორჩილებიან.

(1) 25. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელზე“ მსჯელობისას მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: *ტექსტის მიხედვით რთულია გაარკვიო, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადამიანებს მინდიას სიბრძნის მიმართ?* რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ადამიანები გველისმჭამელის სიბრძნეს პრაგმატულად უყურებენ - რაც მათთვის სასარგებლოა, იმას მინდიასაგან დაბეჯითებით მოითხოვენ, ხოლო რაც მათ ინტერესებს არ შეესაბამება - კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.
- ბ) ადამიანები მინდიას სიბრძნეს აგდებულად უყურებენ, რადგან მისი შეხედულებები მათთვის დაუჯერებელი და მიუღებელია; ამასთანავე, ხვდებიან, რომ გველისმჭამელის პრინციპების ერთგულება მათ კიდევ უფრო გაურთულებს ცხოვრებას.
- გ) ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ შეუძლიათ გველისმჭამელის სიბრძნის არსის შეცნობა, სჯერათ მინდიას პრინციპების მართებულობისა და ცდილობენ თავიანთი თანადგომით მხარი დაუჭირონ მათს განხორციელებას.
- დ) ადამიანებს საერთოდ არ აინტერესებთ მინდიას იდეები, რადგან მათ მამა-პაპათაგან გამოცდილი და ნაანდერძევი ცხოვრების წესის ერთგულება უპირობო ჭეშმარიტებად მიაჩნიათ და ყოველგვარ სიახლეს უფრთხიან.

(1) 26. რატომ აკრიტიკებდა ტიციან ტაბიძე შემოქმედებითი გზის დასაწყისში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებას?

- ა) ტიციან ტაბიძე მიიჩნევდა, რომ ამ მწერლებმა ვერ დასძლიეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის გავლენა და ბოლომდე ძველი მწერლობის ეპიგონებად დარჩნენ.
- ბ) ტიციან ტაბიძე მიიჩნევდა, რომ ამ მწერლებმა მხატვრული ლიტერატურა ენობრივი თვალსაზრისით მეტისმეტად გააღარიბეს და ის კუთხური მეტყველების ასპარეზად აქციეს.
- გ) ტიციან ტაბიძე მიიჩნევდა, რომ ამ მწერლებმა სწორად ვერ განსაზღვრეს ქვეყნის პრიორიტეტები და არსებული სახელმწიფო სისტემის ინტერესები პიროვნების თავისუფლებაზე მაღლა დააყენეს.
- დ) ტიციან ტაბიძე მიიჩნევდა, რომ ამ მწერლებმა ხელოვნება საზოგადოებრივ ინტერესებთან ზედმეტად დააკავშირეს და მხატვრული ლიტერატურა არსებითად პუბლიცისტიკად გადააქციეს.

(1) 27. გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *შეიცვალა თუ არა რაიმე იმით, რომ ხალხური ლექსის - „შემომეყარა ყივჩაღი“ - მთხრობელი ქმარია, ხოლო გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემნის“ მთხრობელი - ყივჩაღი?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) მთხრობლის შეცვლამ გაუადვილა მკითხველს უფრო კარგად აღექვა პერსონაჟი ქალი, რომელიც ხალხურ ლექსში მკაფიოდ არ იყო წარმოჩენილი.
- ბ) მთხრობლის შეცვლამ მთლიანად შეცვალა ის ისტორიული რეალობა, რომელსაც ხალხური მთქმელი ასახავდა და სათქმელს ზემოქმედების ძალა დაუკარგა.
- გ) მთხრობლის შეცვლამ მთლიანად შეცვალა ლექსის მთავარი სათქმელი და განსხვავებული კუთხით დაგვანახვა ყივჩაღის მოქმედების მოტივი.
- დ) მთხრობლის შეცვლას სიახლე არ შემოუტანია ლექსის შინაარსის აღქმაში, რადგან სიუჟეტური ქარგა უცვლელი დარჩა.

(1) 28. კოლაუ ნადირაძის ლექსის - „25 თებერვალი, 1921 წელი“ - შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რა თვალსაზრისით შეიძლება უკავშირებდეს პოეტი კოჯორსა და ტაბახმელას კრწანისის ველს, „სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები...“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) კოჯორსა და ტაბახმელაში მტერთან ბრძოლაში ქართული ჯარის დამარცხება ისევე საბედისწერო აღმოჩნდა ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, როგორც კრწანისის ომის წაგება.
- ბ) კოჯორის, ტაბახმელისა და კრწანისის ბრძოლებში ქართველი მეომრების თავგანწირვა იმას ამტკიცებს, რომ მთავარი გამარჯვება კი არა, ბრძოლის ველზე სახელოვანი სიკვდილია.
- გ) კრწანისის ბრძოლაში სამასი არაგველის შემართებამ ომის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, ხოლო კოჯორსა და ტაბახმელაში გმირების თავგანწირვა უშედეგო აღმოჩნდა.
- დ) კრწანისის ბრძოლაში სამასი არაგველის უშედეგო თავგანწირვამ ვერ ასწავლა ქართველებს, რომ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა უომრად უნდა შეძლონ.

- (1) 29. პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ ტექსტზე მსჯელობის დროს კლასში დაისვა შეკითხვა:
- მიუხედავად იმისა, რომ კაკუტა და ქუჩარა ყვარყვარეს კარგად იცნობენ და იციან, რა უზნეო კაცია იგი, თავს არ ანებებენ, მის გარშემო ტრიალებენ და მისი საქმეების თანამონაწილენი არიან. რის თქმა სურს ავტორს ამით?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?

- ა) არც ეს პერსონაჟები არიან ყვარყვარეზე უკეთესნი, თუმცა ისინი ზეგავლენას ვერ ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.
- ბ) არც ეს პერსონაჟები არიან ყვარყვარეზე უკეთესნი, სწორედ ამგვარი ადამიანები ქმნიან ნიადაგს ყვარყვარიზმის აღმოსაგენებლად.
- გ) ეს პერსონაჟები არიან ნიმუში იმისა, თუ როგორ ანადგურებს დაუნდობელი ეპოქა ღირსეულ, თუმცა ფიზიკურად სუსტ ადამიანებს.
- დ) ეს პერსონაჟები საბრალო მსხვერპლნი არიან ყვარყვარიზმისა, რომელიც მათ ლაქუცის გარდა სხვა გამოსავალს არ უტოვებს.

(1) 30. ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ განხილვისას მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: *გაუგებარი და დაუჯერებელიცაა, რომ ყველასგან განწირული იგი ამბობს: „თანამოდმეები და ბელადიც კარგები არიან“. რის თქმა სურს ამით ავტორს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლის ამ შეკითხვის საპასუხოდ?

- ა) იგი მაღლიერია ბელადისა და თანამოდმეებისა, რადგან ამქვეყნიური სირცხვილისა და ტანჯვისაგან ათავისუფლებენ.
- ბ) იგი მაღლიერია ბელადისა და თანამოდმეებისა, რადგან მასაც იგივე განაჩენი გამოუტანეს, რაც ძველ ბელადს.
- გ) სიკვდილის წინ ყველა ადამიანი მიმტევებელი და კეთილგანწყობილი ხდება მტრებისა და მოშულლების მიმართ.
- დ) სულიერად ამაღლებულ ადამიანს მოყვასის მიმართ გამორჩეული სიყვარულისა და მიტევების უნარი უჩნდება.

III. მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ მიხეილ ქვლივიძის ლექსი „იუდას მონოლოგი“:

მთები ვარსკვლავებს ბარში მწყემსავდნენ,
ბნელში განრთხმული იდგა ზეგანი.
და თქვა იესომ: „მამლის მესამე
დაყვილებამდე ერთი თქვენგანი
მიღალატებსო...“ - მიღალატებსო?
და შეკრთა მაშინ ჩვენი სერობა,
თითქოს სუფრაზე უცებ დაგვესწრო
თვით ანგარება და პირფერობა...
ქრისტე კი ჩხირით ქექავდა ნაცარს,
დასთამაშებდა პირზე ღიმილი
და მწიფდებოდა, ღალატის მსგავსად,
ფანჯრის გადაღმა მამლის ყივილი.
ვდუმდით. დუმდით სული დაღალა.
იწურებოდა დათქმული ვადა.
და დაიყვილა ერთხელ მამალმა
და ის ყივილი გასროლას გავდა.
მერე მოვარდა სიო ფრთამალი,
დაფლითა შავი ღრუბლების ფარჩა,

უკვე მეორედ ყივის მამალი,
მოღალატე კი არ ჩანს და არ ჩანს.
ნუთუ მოტყუვდა, შეცდა მოძღვარი,
ბრძენი, მისანი, სულის თამადა?
გაცამტვერდება მყის სალოცავი,
მისი ნათქვამი თუ არ გამართლდა.
ველარ უშველის დაღუპულ იმედს
ვერავითარი ლოცვა-ღალადი,
მოკვდება ღმერთი, თუ ახლა ვინმემ
არ ჩაიდინა ჩვენში ღალატი!
უნდა ვითავო ეს უმძიმესი
საქმე - გავიღო მსხვერპლი საჩინო:
უნდა გავწირო კაცი - იესო,
ქრისტე ღმერთი რომ გადავარჩინო!
ჩქარა!.. ცის კიდეს ვარსკვლავი მოსწყდა,
ზეცა გაწითლდა, როგორც მოცხარი...
და მე ავდექი, ვაკოცე მოძღვარს
და ჯალათებმა იცნეს მოძღვარი!

შეკითხვებზე გადასვლა

[31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#)

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) 31. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ლექსის პირველ სტრიქონში?

- ა) გაპიროვნება.
- ბ) ეპითეტი.
- გ) ირონია.
- დ) შედარება.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 32. რომელი ტექსტის ალუზიაა სიტყვები: „მამლის მესამე დაყვილებამდე ერთი თქვენგანი მიღალატებსო...“?

- ა) ახალი აღთქმის.
- ბ) ძველი აღთქმის.
- გ) ჰაგიოგრაფიული ტექსტის.
- დ) ჰიმნოგრაფიული ტექსტის.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 33. მოციქულების რა რეაქცია მოჰყვა ქრისტეს სიტყვებს?

- ა) აღფრთოვანება.
- ბ) გაოგნება.
- გ) გაბოროტება.
- დ) განრისხება.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) **34. რომელ სტრიქონებში იყენებს ავტორი შედარებას?**

- ა) „და მწიფდებოდა, ღალატის მსგავსად,
ფანჯრის გადღმა მამლის ყივილი“.
- ბ) „ვდუმდით. დუმილმა სული დაღალა.
იწურებოდა დათქმული ვადა“.
- გ) „...მიღალატებსო?
და შეკრთა მაშინ ჩვენი სერობა“.
- დ) „ქრისტე კი ჩხირით ქექავდა ნაცარს,
დასთამაშებდა პირზე ღიმილი“.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 35. მაცხოვრის როგორ შინაგან მდგომარეობას გამოხატავს ავტორი სიტყვებით:

„ქრისტე კი ჩხირით ქექავდა ნაცარს,
დასთამაშებდა პირზე ღიმილი...“

- ა) აღშფოთებულს.
- ბ) გახარებულს.
- გ) სასოწარკვეთილს.
- დ) მშვიდს.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 36. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „დუმღმა სული დაღალა“?

- ა) იუდას საქციელმა იქ მყოფნი გააოგნა.
- ბ) მთელი იერუსალიმი სიჩუმეში ჩაიძირა.
- გ) სიჩუმით მოციქულთა თანხმობა გამოიხატა.
- დ) ღალატის მოლოდინი აუტანელი გახდა.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 37. რა ფუნქცია აკისრია ფრაზებს: „ის ყივილი გასროლას გავდა“ და „უკვე მეორედ ყივის მამალი“?

- ა) ექსპოზიციურ ნაწილს ემოციურად მძაფრი ფინალი მოსდევს.
- ბ) ვითარება იძაბება, რადგან მოქმედების კულმინაცია ახლოვდება.
- გ) მთავარი სათქმელის გამოსახატავად ნეიტრალური ფონი იქმნება.
- დ) სიჩუმისა და ხმაურის კონტრასტის მეშვეობით იხსნება კვანძი.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) **38. რა მოტივით ამართლებს იუდა თავის საქციელს?**

- ა) თუ იესოს წინასწარმეტყველება არ ახდება, მაცხოვრის შეუმცდარობის რწმენაც გაცამტვერდება.
- ბ) თუ მაცხოვრის წინასწარმეტყველება არ ახდება, მოციქულები იუდას აღარაფერს დაუჯერებენ.
- გ) თუ მაცხოვრის წინასწარმეტყველება ახდება, მის სასწაულებს რომაელებიც ირწმუნებენ.
- დ) თუ მაცხოვრის წინასწარმეტყველება ახდება, მოციქულებსაც შესაფერისი პატივისცემით მოექცევიან.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) **39.** იუდა საკუთარ საქციელს აფასებს, როგორც:

- ა) ანგარებასა და პირფერობას.
- ბ) თავგანწირვასა და გმირობას.
- გ) მიმტევებლობასა და გულმოწყალებას.
- დ) უკანდახევასა და სიმხდალეს.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(1) 40. ამ ლექსის ორიგინალობას განაპირობებს ის, რომ:

- ა) ავტორი თანამედროვე სამეტყველო ენით გადმოსცემს ცნობილ ჰიმნოგრაფიულ ტექსტს.
- ბ) საბჭოთა პერიოდში ავტორი ბედავს ახალი აღთქმის სიუჟეტის ინტერპრეტირებას.
- გ) შთამბეჭდავად არის გალექსილი მათეს სახარებაში გადმოცემული ამბავი.
- დ) ყველასთვის ცნობილი სიუჟეტი განსხვავებული რაკურსით არის წარმოდგენილი.

[ტექსტზე დაბრუნება](#)

(5) 41. იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!